

ფინანსური ანგარიშგება

შპს VITA LOGISTICS

2021 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
3. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	მნიშვნა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	101432	161451	5668
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	254668	484265	241925
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4	9491	9834	2625
მარაგები	5	49709	9683	4140
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		49709	9683	4140
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	7867	7867	7867
ძირითადი საშუალებები	6	1405073	20287	40614
სულ აქტივები		1828240	693387	302839
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	100197	115848	5656
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	28192	37621	15410
საგადასახადო ვალდებულებები	7	28972	32723	13767
სხვა ვალდებულებები	7	476681	406315	224315
სულ ვალდებულებები		634042	592507	259148
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-153013	100880	43691
გადაფასების რეზერვი		1347211	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		1194198	100880	43691
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1828240	693387	302839
სულ მოკლევადიანი აქტივები		423167	673100	262224
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		634042	592507	259148

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები		3437339	3560744
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	8	3437339	3560744
საერთო მოგება		3437339	3560744
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	8	-663142	-634564
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10	-7935	-8622
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი	10	-28286	-28834
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-3000084	-2846173
სულ საოპერაციო ხარჯები		-3699447	-3518193
საოპერაციო მოგება		-262108	42551
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	9	8215	14638
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-253893	57189
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-253893	57189
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		1347211	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		1347211	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1093318	57189
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		100880	43691
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1194198	100880

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-60019	155783
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-60019	155783
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	161451	5668
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	101432	161451

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Vita Logistics წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 29.02.2012წელს, დღეს გადამხდელად 01.03.2012წელს . კომპანიის იურიდიული მისამართი ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ქ., N 14ბ, ბ. 120 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ალ ყაზბეგის N12 ა . ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი გიორგი ჯოხაძე პირადი N01003019334 .

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ტვირთების ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვები საქართველოს სალიზინგო კომპანიიდან ლიზინგით გაცემული მანქანების საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის მანქანების საშუალებით.

2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოსყიდულია ლიზინგით გაცემული მანქანები და საბაზრო ღირებულებით აყვანილია კომპანიის ბალანსზე როგორც სარეზერვო კაპიტალი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენს 3.5040 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურეობის რეალიზაცია ძირითადად ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით .

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სამეურნეო პროცესებში მარაგები გამოიყენება საწარმოო მოხმარებისთვის და მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის

საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და

ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	5283	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	156168	5,668
სულ	161451	5668

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	254668	484,265
გადახდილი ავანსები მომწოდებლებზე	8678	1,226
გადახდილი ავანსები თანამშრომლებზე	813	8,607
დასაქმებულებზე წინასწარანაზღაურებული დაბეგრილი ხელფასი	7866	7866
სულ	272025	501964

შენიშვნა 5

მარაგები

	2021	2020
ნედლეული და მასალები-საწვავი	24500	9683
სარეალიზაციო სხვა სმფ-ჯართი	25209	-
სულ	49709	9683

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის
თვითღირებულებამ შეადგინა :საწვავი 854103 ლარი., მანქანების
რემონტზე-203498 ლარი

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპო რტო საშუალებებ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სულ
31.დეკ.20	13597	5780	40863	2763	63003
შემოსვლა			1422349		
გასვლა					
31.დეკ.21	13597	5780	1463212	2763	63003
ცვეთა და გაუფასურება					
31.დეკ.20	7444	5573	27109	2590	42716
პერიოდის ცვეთა	333	30	37027	173	37563
გასვლა					
31.დეკ.21	7777	5603	64136	2763	80279
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31.დეკ.20	6153	207	13754	173	20287
31.დეკ.21	5820	177	1399076	0	14050 73

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021	2020
--	------	------

სავაჭრო ვალდებულებები საქონლის და მომსახურეობის შეძენები	100197	104,403
მიღებული ავანსები	-	14445
ვალდებულებები საწარმოს პარტნიორებისგან	476681	406,315
გადასახადელი ხელფასები	28192	37,621
საგადასახადო ვალდებულება	32723	28,972
სულ	637793	591756

შენიშვნა 8

ამონაგები

	2021	2020
მომსახურეობის რეალიზაცია ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებიდან 0%-იანი	3425665	3,517,737
მომსახურეობის რეალიზაცია ტვირთების გადაზიდვებიდან ადგილობრივი 18%-იანი	1173	1,155
სხვა რეალიზაცია	10500	41852
სულ	3437338	3560744

შენიშვნა 9

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021	2020
სხვა შემოსავალი	2025	3089
კურსთა სხვაობა	-	11549
არასაკონფორმაციო ხარჯი-ტვირთის დაზიანების ანაზღაურება	6190	-
სულ	8215	14,638

შენიშვნა 10

სხვა ხარჯები

	2021	2020
საპენსიო დანარიცხები	101110	9255
შრომის ანაზღაურება	663142	634564
საიჯარო ქირა	28286	28833
იჯარა ლიზინგი	359060	326286
ცვეთა ძირითად საშუალებებზე	7934	8622

კომუნიკაციის ხარჯები	6646	6943
დაზღვევა	31744	42754
კომპიუტერის ხარჯები		34
საკონსულტაციო ხარჯები	473	188
სხვა საგადასახადო ხარჯი	8858	922
საბანკო მომსახურება	6339	6166
საკანცელარიო ხარჯები	746	153
დაცვის ხარჯები	814	971
საოფისე ხარჯები	1567	1778
რეალიზებული სმფს თვითღირებულება		12509
სხვა საოპერაციო ხარჯები	1407822	1374470
გახარჯული მასალები და საწვავი	1054600	1063745
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20304	-
სულ	3699445	3518193

შენიშვნა 11

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს დირექტორის გიორგი ჯოხაძის მიერ



გ. ჯოხაძე